და აი საქმეში აქტიურად ჩაერევენენ ჩვენი აგიტატორები, პოლიტინფორმატორები, პროპაგანდისტები, ლექტორები... ისინი ციფრებით, ფაქტებით, სხვადასხვა შედარებებით თვალსაჩინოდ გახსნიდნენ, თუ რა მაღალი პასუხისმგებლობა ეკისრება თვითეულ კოლმეურნეს, იმასთან საუბრობენ იმ ხერხებზე, საშუალებებზე, რომლებითაც კოლმეურნეე მეჩაიეები აღწევენ ათათუ 5-6 კილოგრამის, არამედ გაცილებით მეტის მოკრეფას.

ჩვენთან სწორაფად გავრცელდა ინიციატივა ახალსოფლელებისა, რომლებმაც ჩაატარეს საოფლო ყრილობა დეკანოზი — „არც ერთი ეზოც უმუშევარი სოფლად, არც ერთი უქნარა ჩვენს გვერდით!“ კარგი თაოსნობა გამოიჩინა სოფელ ნოსოოს ინტელიგენციამ, რომელმაც მოგვმართა მოწოდებით, რომ რაიონის ინტელიგენციის თვითეულმა წარმომადგენელმა არ დაზოგოს ცოდნა და გამოცდილება, რათა ყოველნაირად შეუწყოს ხელი ადამიანთა აქტივობის ამაღლებას, სოციალისტური შეჯიბრების შემდგომ განვითარებას, მოწინავე გამოცდილების ფართოდ გავრცელებას, პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებას. ამ მოწოდებას მხარი რომ დავუჭირეთ, პირველად პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად შევიმუშავეთ კონკრეტული ღონისძიებანი.

მაგრამ ეს ჩვენი გადაწყვეტილება ფარატინა ქაღალდად, ლატნ სიტყვად იქცევა, თუ ვერ დავძლიეთ ზოგიერთი მუშაკის უპასუხისმგებლობა, ინერტულობა, ხიზანტე, ფორმალიზმი და ზოგ შემთხვევაში ბიუროკრატიზმიც კი. სწორედ აქაც გვჭირდება მკაცრი კონტროლი, შესრულების შემოწმების გონივრული ორგანიზაცია, რაც ჩვენი შრომისა და ცხოვრებაც ყველა უბანზე უაღრესი პრინციპულობით მოითხოვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმმა.

ი. გოგინავა — ნოხარის დაუნის ხაბჭოთა მეურნეობის პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული დაწყებითი პარტიულსწავლის პროპაგანდისტი, სოციალისტური შრომის გმირი: დიახ, სწორედ შესრულების შემოწმება და კონტროლი უნდა გადაგვაქციოთ ამ მძლავრ საშუალებად, რომელიც აამაღლებს ოოკორიც მსმენელთა, ისე თვით ამ ადამიანთა პასუხისმგებლობას, რომლებიც პროპაგანდისტულ და მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას ხელმძღვანელობენ. სამწუხაროდ, თვით ჩვენს, ნოსიერის დაფნის საბჭოთა მეურნეობაში ამ მხრივ ყველაფერი რიგზე როდია. მართალია, უკანასკნელ ხანს დაეძლიეთ ხუთწლედის პირველ სამ წელიწადში შექმნილი სიძნელეები, შარშან გეგმები შეეასრულეთ, აღვაკვეთეთ დარღვევები და ჩავარდნები, მაგრამ ჯერ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია. ჩვენს რიგებში პასიურები მაინც არიან. ზოგი გაურბის საზოგადოებრივი **დავალების** შესრულებას **და ამისათვის** პასუხს არ-ვინ სთხოვს. თვით კომუნისტებს ერთი ნაწილი არ ზრუნავს თავისი იდეური ცოდნის დონის ამაღლებისათვის, სწორედ ამიტომ არის, რომ ასეთები ხაკლები შეგნებით ეკიდებიან შრომას.

პოოპაკავანდისტულ და მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში ერთ-ერთი მთავარია სწორი დაგეგმვა. გეგმა შეიძლება იყოს პერსპექტიულიც და ხახმოკლე პეროდისათვისაც. პრაქტიკაში ხშირად ხდება, რომ გეგმაში მხოლოდ საუბრის თემებია გათვალისწინებული, მაგრამ, ჩემი აზრით, საჭიროა მასში ასახვა ჰპოვოს აღზრდის კონკრეტულმა ამოცანებმა, მათი შესრულების გზებმა, ნაჩვენები იყოს ღონისძიების ჩატარების ვადა და ადგილი, ისი მომზადებისათვის პასუხისმგებელი პირი. აი როდის შეიძლება განხორციელდეს ნაგდილი კონტროლი, და ბუნებრივია, ფორმალიზმსაც თავიდან აიცილებენ.

დ. გუნია — ძველი ხენაკის აგიტპუნქტის აგიტატორი: მე, როგორც ამბალგაზრდა აგიტატორს, ყველაზე მეტად ერთი საკითხი მაღელვებს: როგორ ძიებენ, ეს ბევრ შორმას გაურბის, ირღვევა დისციპლინას, კარგად ვეთა აქვს საქმე ყოფაცხოვრებაშიც. ჩემს საუბრებზე, ისევ ისინი იკრიბებიან, რომელთაც დიდი პასუხისმგებლობაც აქვთ, და შეიძლება ითქვას, თვითონ დამოუკიდებლადაც ბევრს კითხულობენ, იმდიდრებენ ცოდნის პორიზონტს. ვატყობ ჩემი საუბრები ძათუ ძაინცდამაინც დიდ შთაბეჭდილებას ვერ ახდენს. რა-გორ მოვიქცე? ვფიქრობ, აქ სწორი აზრი გამოითქვა, **რომ ყოველი საუბარი აუდიტორიის მომზადების დონეს და მის განწყობილებას უნდა შეეფარდოს.**

მახსოვს, ერთხელ ჩემს საგიტაციო უბანში მივედი. სამი თუ ოთხი კაცი დამხვდა იქ. შევატყე, ხასიათზე არ იყვნენ, მაგრამ საუბარი მაინც დავიწყე ერთ-ერთი მოწონავე კოლმეურნის მიღწევებზე. ეჰ, ეროთი ნეტავ შენ, მოგცლია! — მომაძახა ერთმა. შეწყენა, აღარფერი მითქვამს მისთვის და საუბარიც შეწყვიტე. შემდეგ შევიტყე, რომ მათ იმ დღეს საუკეთესო მეგობარი გარდაცვლოდათ. მიეხვედი, ადამიანებთან უფრო ახლოს ყოფნაა, მათი ეხენება-განწყობილების შესწავლაა საჭირო. ყოველი საუბარი მომეტსტა და დროს უნდა შეუფარდო, გითვალისწინო წეროლმანეობიც კი.

ვფიქრობ, ჩვენი სწავლებისა და დახელოვნებისათვის მეტი უნდა ეზრუნოს პარტიის რაიკომმა.

ვ. ლეხამიშვილი — თელავის აგიტპუნქტის გამგე: ვ. ი. ლენინი დაუნდობლად აკიცხეებდა იმას, ვისაც რწმენა მხოლოდ ენაზე აკერია. ხახს უსვამდა რა თეორიული შეიარაღების მნიშვნელობას, ბელადი კომუნისტებს მოუწოდებდა, რომ ბევრი ესწავლათ, რათა ყოფილიყვნენ საკმაოდ მტკიცენი თავიანთ რწმენაში და საკმაოდ ყარმატებით დაეცვათ იგი ყველას წინაშე და ყოველთვის. ამიტომ სოციალისტური სოციალიზმისათვის უცხო შეხედულებებსა და ზნე-ჩვეულებებს წინააღმდეგ გახსაკუთრებული შეურიგებლობის სულისკვეთებით ადამიანთა აღზრდა იდეოლოგიური **დარგის** მუშაკის გადაუდებელი საზრუნავია.

მოგეხსენებათ, ახლო წარსულში ამ მიმართულებით ბრძოლა ძალიან გვიჭირდა. ახლა მეტად ხელსაყრელი პირობები შეიქმნა, რომ უფრო ხმამაღლა ვილაპარაკოთ მორალზე, პატიოსნებაზე, წესრიგზე. ახლა ჩვენს აგიტატორებს აღარაფერს ეუბნებიან ასეთ საუბარს სატყუვებით: „ეს რად უნდა ჩემი პატიოსნება, კომბინატორს უფრო აფასებენ“... დიახ, მუშაობა ახლა ბევრად სახალისო გახდა. მაგრამ ჯერ კიდევ ხომ ბოგინობენ ჩვენს ირგვლივ გამომძალვლები, მექრთამეები და სხვა ჯურის ანტიპოდები. აი აქ არის საჭირო აგიტატორისა თუ პოლიტინფორმატორის ოსტატობის გამოყენება, რომ თვითეული მსმენელი მათ წინააღმდეგ ბრძოლის მოთაკვე იყოს.

როგორც რესპუბლიკური, ისე რაიონული პრესა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის დადებითი გამოცდილების კარგი გამავრცელებელი უნდა იყოს. რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონში დაბადებულმა სასარგებლო საიხლემ ყველგან უნდა გაიკაფოს გზა. მაგალითად, **მეტად მოსაწონია თბილისის ოქტობრის რაიონის აგიტპუნქტების ინიციატივა, რომელთაც შექმნეს ამმრჩეველთა წინადადებებისა და შენიშვნების წიგნი, რომელთა მიხედვითაც ოპერატიულად იღებენ კონკრეტულ ზომებს.**

მ. ქვარცხავა — ხახ. სამ. ტექნიკუმის დირექტორი, პარტიის რაიკომთან არსებული მუდმივმოქმედი სემინარის ხელმძღვანელი:

ცნობილია, რომ დღეგანდელი ადამიანის ინტერესთა წრე დიდად გაიზარდა, მას უხვად აწვდის იაფფრმაციას ტელევიზია, რადიო, პრესა, კინო, ტურიზმი და სხვ. ეს კი დიდ გავლენას ახდენს ადამიანის პორიზონტის გაფართოებაზე, საერთო შეგნებულობის ამაღლებაზე. დღეს ადამიანი იმდენად გათვითცნობიერებულია, რომ ყოველ შრომითს კოლექტივში, ოჯახში, თუ ადამიანთა ჯგუფში სამუშაოდან თავისუფალ დროს ხდება ქვეყნის პოლიტიკის, მსოფლიოში არსებული მდგომარეობის გარჩევა, განხილვა, საკუთარი აზრის ჩამოყალიბება.

საკოველთაოდ ცნობილია საგიტაციო-მასობრივი, პროპაგანდისტული მუშაობის ის ფორმები, რომლებმაც თავის დროზე დიდი როლი შეასრულა, მაგრამ დღეს ზოგიერთი უკვე ეეღარ უპასუხებს ახალ ითხოვნებს. ჩვენი აზრით, დღეგანდელი მოთალფეფრთოვანი ინფორმაციის პირობებში მთელი ყურადღება უნდა მიექცეს ლექციების, მოხსენებების, საუბრების ხარისხს, იდეურ-პოლიტიკურ დონეს და არა რაოდენობას. ამისათვის კი განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ideologიური დარგის კადრების (აგიტატორების, პროპაგანდისტების, ლექტორების) შერჩევას და მომზადებას. არ არის დასამალავი, რომ ზოგიერთ აგიტატორს, პროპაგანდისტს, ლექტორს არა აქვს სათანადო მომზადება ამ დიდი მოვალეობის შესრულებისათვის და იძულებულია მას ფორმალურად, ეალის მოხდის მიზნით მოეკიდოს. ასეთების საუბარს მასები ინტერესით არ მოუსმენენ.

პოლიტიკური განათლების ქსელში სხვადასხვა სახის და შინაარსის ძალიან ბევრი სემინარი და სკოლა გვაქვს. ეს ძალიან ირთულებს მუშობას, ანელებს ინტერესს სწავლებისადმი. ამასთან პროგრამები ისევ მედგებოდა, რომ მარქსიზმ-ლენინიზმი ნაწილ-ნაწილად ისწავლება. **ხომ არ მომწიფდა პირობები იმისათვის, რომ შეიქმნას სრულყოფილი ერთიანი სახელმძღვანელოები უმაღლესი, საშუალო და დაბალი რგოლისათვის, რომლებშიც სისტემატიზებული იქნებოდა მარქსიზმ-ლენინიზმის სამი ნაწილი: მარქსისტული ფილოსოფია, პოლიტიკური ეკონომია და მეცნიერული კომუნიზმის თეორია და მხოლოდ ეს სამი სახელმძღვანელო იყოს პოლიტიკური განათლების ქსელის მსმენელთა სახელმძღვანელო და სამაგიდო წიგნი!**

ბ. ბოგინავა — ხაქმთავარენერგოს ცხაკაიას ელექტროქსელის ტექნიკური განყოფილების უფროსი, პოლიტინფორმატორი: რა გამოძახილი მოსდევს ჩვენს სიტყვას? — ამ საკითხზე მარშანდელი წლის სექტემბრიდან საინტერესო საუბარი გაიშალა გაზეთ „პოვედის“ ფურცლებზე. მართლაც, როგორია ჩვენი პოლიტიკური საუბრის ქმედითობა, როგორ უნდა გავაუმჯობესოთ, უფრო საინტერესო და შინაარსიანი გავხადოთ იგი?

ჩვენთან, საქმთავარენერგოს ცხაკაიას ელექტროქსელების სისტემაში, შედეგი ერთმანეთისაგან ტერიტორიულად კაოგი მანძილით დაშორებული რაიონისა, რომელთაც 700-ზე მეტი მუშა-მოსამსახურე ემსახურება. იკითხავთ, ხუთი პოლიტინფორმატორი როგორ ახერხებს მათთან სისტემატურ საუბრებს, როგორ ხელმძღვანელობს სოციალისტურ შეჯიბრებას, ან როგორ უნდა ჩაერიოს აქტიურად რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა საქმიანობაში, რომლითაც, შეიძლება თამამად თქვას, თავს იწონებს ჩვენი კოლექტივი?!

რა თქმა უნდა, ხალხს ცხაკაიაში ყოველ კვირეულ ჩამოვიყვანთ ნახევარსაათიანი თუ ორმოცდაწუთიანი საუბრისათვის. ჩვენი მუშაობის სპეციფიკა ისეთია, რომ თვითონ გვიხდება ადგილებზე ჩასვლა კვირაში ორჯერ მაინც. აი ამ დროს ვიყენებთ პოლიტინფორმაციებისათვის.

საკუთარი პრაქტიკით ვიცით, რომ ესა თუ ის პოლიტიკური ინფორმაცია ხშირად ბიდებს მსმენელებში ათასგვარ კითხვას. სწორედ ამიტომ არის საჭირო, რომ პოლიტინფორმატორი დღეგანადაგ სწავლობდეს და ამაღლებდეს თეორიული და კულტურული მომზადების დონეს, იყოს ერუდირებული ადამიანი. მან ყოველ ფაქტს უნდა მისცეს სათანადო შეფასება, არ დაიბნეს რთული პრობლემების გარკვევის დროს, თორემ თუ ერთხელ ან ორჯერ ეაბიორძალა, მსმენელიც შემდეგ უნდობლად მოეკიდება მის ყოველ სიტყვას.

ვეცდილობ, რომ არ გამომრჩეს მსმენელთა შენიშვნები და წინადადებები, რომლებსაც ისინი მუშაობის საპირბორტო საკითხებზე გამოთქვამენ და დაეუბნარო სწორი ორიენტაციის შემუშავებაში, თუ საკითხი დროულად გადაწყვეტას მოითხოვს, ამას ვაცნობ დირექციას ან პარტორგანიზაციას ზომების მისაღებად.

ზოგი ამბობს, პოლიტინფორმატორმა ყველაფერი უნდა იცოდესო. ეს კარგია, ამისაკენ უნდა მივისწრაფოდეთ ყველა, მაგრამ **ჩემი აზრით, მაინც საჭიროა ერთგვარი სპეციალიზაცია. იგი დაგვეხმარება, რომ ცალკეულ საკითხებზე ჩვენი საუბარი გაცილებით ღრმა, კომპეტენტური და შედეგიანი იყოს.**

ო. ცეკვაშვილი — ხაზოგადოება „ცოდნის“ რაიონული განყოფილების ლექტორი: როგორი უნდა იყოს ლექტორის წვლილი სამეურნეო ამოცანების იდეოლოგიურ უზრუნველყოფაში, იმ საპატიო დანაპირების შესრულებაში, რომ რეპუბლიკამ წლიულს სახელმწიფო გეგმის გადამეტებით აწარმოოს 200 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია და დაამზადოს 120 მილიონი მანეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები? როგორ გავაუმჯობესოთ თვითეული ლექციის ხარისხი, რომ უფრო აქტიურად დავრაზმოთ ჩვენი, სოფელ ნოქალაქევის მშრომელები სკკპ XXV ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის შესახვედრად?

სოფელში საზოგადოება „ცოდნის“ ძირეული ორგანიზაციაა, რომელშიც 9 ლექტორია გაერთიანებული, **მე არ შევუდგები წაკითხულ ლექციათა ჩამოთვლას, ან დაწვრილებით იმაზე საუბარს, თუ როგორ გეგმაზებით ყოველი ლექციისათვის. მინდა მხოლოდ ის მოგახსენოთ, რაც ბოლოდან ეე პრობლემად მიმაჩნია. აი თუნდაც ის, რაზეც აქ ლაპარაკობდნენ — ლექციებზე იმათი დასწრება, ვისაც იგი უფრო სჭირდება.** როგორ ეეა ეორ-ზე, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე, მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლაზე და სხვა საპირბორტო თემებზე ლექციები მოვამზადე, რამდენჯერ ეეცადე, აუდიტორიაში სწორედ უსაქმურები და უდისციპლინონი მოგვეყვანა. ეს კი ვერ შეეძლო. ვფიქრობ, საჭიროა ამ მხრივ ლექტოროს მხარში ამოუდგნენ სასოფლო საბჭოს, მეურნეობ



უდრეკი რევოლუციონერი

ი. მ. სვერდლოვის დაბადების 90 წლისთავის გამო

იაკობ მიხეილის-ძე სვერდლოვმა რევოლუციამდე თავისი საოცცხლის ოცდათორმეტი წლიდან დაიხლოებით თორმეტი წელი ტყვეობაში გაატარა: ხუთნახევარ წლამდე მეფის საპყრობილეთა საკანებსა და კახეტიებში და ექვსი — ციმბირის ყველაზე მოყრუებულ, შორეულ კუთხეებში, გადასახლებაში.

თოთხმეტჯერ იყო დაპატიმრებული. თოთხმეტჯერ! ხოლო როცა გარდაცვალა, მხოლოდ 34 წლისა იყო.

ასეთი იყო ამ უდრეკი რევოლუციონერის მკაფიო ცხოვრების არითმეტიკა.

მას საშინლად სძულდა საბჭოთა ხელისუფლებისა და ჩვენი პარტიის მტრები და ულმობელი იყო მტრებისადმი, რა ნიღაბიც უნდა ეტარებინათ მათ. ამავე დროს ეს იყო კრისტალური სინდისიანობა, განსაკუთრებული ჰუმანურობის ადამიანი.

მან მთელი თავისი სიფოცხლით დაამტკიცა შეუდრეკელი ერთგულება რევოლუციის დიადი საქმისადმი, უკვდავი ლენინის დიდი საქმისადმი.

იაკობ მიხეილის-ძე სვერდლოვი დაიბადა 1885 წლის 23 მაისს (4 ივნისს) ნიჟნი ნოვგოროდში (ამჟამად ქალაქი გორკი) ხელოსან გრაკეიორის ოჯახში. ნიჟნი ნოვგოროდის გუბერნიის „მოსწავლედ ყოფნისას იგი კავშირს ამყარებს ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციასთან, ხოლო 1901 წელს, თექვსმეტი წლის ჭაბუკი, შედის სოციალ-დემოკრატთა რიგებში და მალე პროფესიონალი რევოლუციონერი ხდება.

სვერდლოვის რევოლუციური მოღვაწეობის პირველი წლები სორმოვოს მუშებს შორის გავიდა. 1903 წელს, რსდმპ II ყრილობის შემდეგ, იაკობ მიხეილის-ძე ბოლშევიკი — ლენინელი ხდება, ასრულებს რსდმპ ჩრდილოეთის კომიტეტის და პარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხსაგებ დავალებებს.

1905 წლის შემოდგომაზე ცენტრალური კომიტეტი გზავნის მას თავის წარმომადგენლად ურალში, სადაც იგი მალე სათავეში უდგება ბოლშევიკურ ორგანიზაციებს; 1905 წლის დეკემბერში მას ირჩევენ ტამბოფორსის კონფერენციის დელეგატად. პირველად მიეცა შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღო ბოლშევიკების სრულიად რუსეთის კონფერენციაში. პირველად შეძლო განეხორციელებინა თავისი სანუკვარი ოცნება — შეხვედროდა ლენინს. მაგრამ მის ოცნებას ამჯერად ახდენა არ ეწერა. გზაში იაკობ მიხეილის-ძეს მოუსწრო მთელ ქვეყანაში დიწყებულმა რკინიგზელთა გიფიცვამ. იგი გზაში შეფერხდა და ტამბოფორსში ჩავიდა, როცა კონფერენცია უკვე დამთავრდა

და მეტი წილ დელეგატები წავიდ-წამოვიდნენ. წავიდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინიც.

1906 წლის ივნისში სვერდლოვი დაიპატიმრეს პერმში. საპყრობილიდან იგი კავშირს ამყარებს გარეთ მყოფ კომუნისტებთან, ხელმძღვანელობს პატიმართა პოლიტსწავლებას, უკითხავს მათ ლექციებს და რეფერატებს. განთავისუფლების შემდეგ, 1909 წლის სექტემბერში ი. მ. სვერდლოვი ჩადის პეტერბურგში. მალე იგი კვლავ დაიპატიმრეს და სამი წლით გადასახლეს ნარიმის მხარეში.

ვერც საპყრობილეებმა, ვერც გადასახლებამ ვერ გატეხა უშიშარი რევოლუციონერის ნებისყოფა და სული. აი ამონაწერები წერილებიდან, რომლებსაც იაკობ მიხეილის-ძე საპყრობილიდან უგზავნიდა თავის მეგობრებსა და მახლობლებს. „წაკლები სევდა, მეტი სიხარული...“ „...ვიქნიოთ უკეთესი დროების იმედი“, „შორს პესიმიზმი, ყოველგვარ პირობებში უმღერეთ ჰიმნი სიცოცხლეს“, „მჯერა რომ იქნება სხვა დრო, იქნება ნათელი დღეები...“

რსდმპ პრაღის კონფერენციის შემდეგ 1912 წლის იანვარში, გადასახლებაში რომ იყო, ი. მ. სვერდლოვი კოოპტაციის წესით შეიყვანეს რსდმპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს შემადგენლობაში, მაშინ კი იგი მხოლოდ ოცდაშვიდი წლისა იყო.

1912 წლის აგვისტოში მან ბოგოქუცეა სცადა, მაგრამ ნავი, რომლითაც იგი გამოიქცა, შუა ობში გადაბრუდა. პოლიციამ დაიკავა გაქცეულნი. მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ, დეკემბერში, გაქცევა წარმატებით დამთავრდა. ამ პერიოდში ი. მ. სვერდლოვი დიდ მუშაობას ეწეოდა ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს, სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკური ფრაქციის ხელმძღვანელობისათვის. 1912 წელს კოკოვის თათბირის შემდეგ სვერდლოვი სამუშაოდ გაიგზავნა „პრავდაში“. იგი გაზეთში მტკიცე წინააღმდეგობას უწევს შეიარაღებული აჯანყების კურსის ჩამშლელებს — კამენევსა და ზინოვიევს. ცენტრალური კომიტეტი ხმის უფლებისა უმრავლესობით იღებს ლენინის რეზოლუციას.

ამ პერიოდში იგი გაზეთების „პრავდის“, „პროლეტარის“ redაქციო კოლეგიის წევრია და ხელმძღვანელობს განყოფილებებს გაზეთებში „რაბოჩი ი სოლდატ“, „რაბოჩი პუტ“, „სოლდატ“.

ი. მ. სვერდლოვი ლენინის ერთ-ერთი უახლოესი თანამებრძოლი და თანაშემწეა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადების დღეებშიც. როგორც ცენტრალური კომიტეტის მდივანი, პარტიული ცენტრის და სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის წევრი იგი ეწევა მჩქეფარე, უაღრესად დიდ ორგანიზაციულ და პოლიტიკურ მუშაობას. მას მინდობილი აქვს

თვალყური ადევნოს დროებითს მთავრობას და მის განკარგულებებს. ძალიან ბევრი რამ გაკეთა სვერდლოვმა იმ მხურვალე დღეებსა და ღამეებში, რევოლუციის გამარჯვებისათვის გადამწყვეტი ბრძოლის საათებში.

1917 წლის 21 ნოემბერს ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი კამენევის ქცევისა და სრულიად რუსეთის ცაკ-ში მისი გამოითქვეული საქმიანობის შესახებ. ცენტრალური კომიტეტისათვის ნათელი იყო, რომ ხელმძღვანელობა სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში საჭირო იყო გადასცემოდა მტკიცე, საიმედო ხელს, და ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა სრულიად რუსეთის ცაკ-ის თავმჯდომარის პოსტზე რეკომენდაცია მიეცა იაკობ მიხეილის-ძე სვერდლოვისათვის.

იმავე დღეს 21 ნოემბერს ი. მ. სვერდლოვი არჩეულ იქნა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ. სვერდლოვის კანდიდატურა წამოაყენა ვ. ი. ლენინმა. სრულიად რუსეთის ცაკ-ის თავმჯდომარის პოსტზე რომ იყო, იაკობ მიხეილის-ძე, ამ საქმეოსთან ერთად, თავისი საოცცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ საქმიანობის.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1918 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით შეიქმნა ეროვნული რუსეთის საფსრესპუბლიკის კონსტიტუციის შესამუშავებლად. ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დადგენილებაში ჩაწერა: „იქმნება კომისია საბჭოთა კონსტიტუციის შესამუშავებლად... მიღებული გადაწყვეტილებების (ეროვნებაში გატარება მინდობილი აქვს. სვერდლოვს“.

ი. სვერდლოვი იძულებულ მყოფი ამ მუშაობის შესანიშნავ მაგალითს. იგი ყოველდღე იღებდა უამრავ ამხანაგს, თვითეულს უურადღებით უსმენდა, თვითეულისათვის პოულობდა გულთბილ სიტყვას, ახერხებდა თვითეულს ყველაზე მიზანშეწონილად გამოყენებას. მას ეხერხებოდა მეგობრულად ეზრუნა ადამიანებზე და ძლიერი გავლენა მოახდინა მათზე. იგი ტაქტით ეხმარებოდა მუშაკებს სუსტ მხარეთა და ნაკლოვანებათა დაძლევაში. იგი იბრძოდა ადამიანისათვის და ჰქონდა ადამიანისადმი რწმენა. ყოველდღე იღებდა პარტიულ საქმეებზე 20-25 ამხანაგს. ხოლო კიდევ რამდენს მიღიბა უხდებოდა სრულიად რუსეთის ცაკ-ის საქმეებზე. იგი უკვირდათ, მას მიჰკვირდებოდნენ იმიტომ, რომ კრძნობდნენ მის ნათელ გონებას, ძლიერ ნებისყოფას და რევოლუციის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულებას.

სამოქალაქო ომი. სვერდლოვი უდიდეს მუშაობას ეწევა პარტიული „ალერების მობილიზაციისათვის წითელი არმიის „დასამტკიცებლად, მუშაობდა მის მეთაურად ადგილზე, ამ საქმეში ბრძოლთა და მეთაურთა პოლიტიკური განთლებისათვის, ბეჭდავდა სტატიებს, გამოდიოდა მგზნებარე სიტყვებით, აკეთებდა მოხსენებებს. მისი სიტყვები სავა იყო, მიკრამ მკაცრ ბრძანებებზე უფრო დამაჯერებელი.

იაკობ მიხეილის-ძე სვერდლოვი III ინტერნაციონალის ერთ-ერთი ორგანიზატორია. მონაწილეობას იღებდა კომუნისტური ინტერნაციონალის პირველი კონგრესის მომზადებაში.

რაც უფრო მაღალია პოსტი, მით უფრო მეტია საქმეები. რაც უფრო მწვავე ვითარებაა, მით უფრო რთულია ამოცანები. სვერდლოვი „ბინტში როდი ზის. ხშირი მმართველა აქვს, პირდაპირ კონტაქტებს ამყარებს მასებთან. 1919 წლის მარტის დამდეგს ი. მ. სვერდლოვი გაემგზავრა ხარკოვში, სადაც მოსაწვლეობას იღებდა უკრაინის კპ(ბ) III ყრილობისა და საბჭოთა სრულიად უკრაინის III ყრილობის მუშაობაში. ხარკოვიდან მოსკოვში რომ ბრუნდებოდა, იგი უკლებლივ ყველა ფრონტებს იყენებდა პარტიულ და საბჭოთა მუშაკებთან, მუშებთან და გლეხებთან საუბრებისათვის.

მოსკოვში რომ ჩავიდა, სიცხე ჰქონდა — 39! „ისპანკა“ — როგორც იმ დროს ეძახდნენ იმას, რასაც ახლა ვირუსულ გრიპს უწოდებენ. მაკრამ სვერდლოვი ექიმებთან კი არ მიეშურება, არამედ სრულიად რუსეთის (ცაკ-ის პრეზიდიუმისა და სახკომსაბჭის სხდომაზე. იგი, შესაძლოა, დაძლევდა ავადმყოფობას — თავისი კოლოსალური სასიცოცხლო ენერგიის მეოხებით, მაგრამ ახლა, ორი წლის შემდეგ, ნარიმმა და ტურუხანსკმა მაინც თავისი გაიტანეს: დადასახლებაში შერეულმა ჯანმრთელობამ ჯელარ გაუძლო.

9 მარტს იაკობ მიხეილის-ძე ლოგინად ჩავარდა, 15 მარტს კი, 34 წლის ასაკში, გარდაიცვალა.

18 მარტს მოსკოვი უკანასკნელ გზაზე მიაცილებდა ი. მ. სვერდლოვს. იგი დაკრძალეს ზვითელ მოედანზე. მაღალ თოლებ ქვეშ ჯუგუნებდა დიადი პროლეტარული ჰიმნი „ინტერნაციონალი“.

ხსნდა რა რკპ(ბ) VIII ყრილობას, ვ. ი. ლენინმა თქვა: „ამხანაგებო, პირველი სიტყვა ჩვენს ყრილობაზე უნდა მიეძღვნას ამხანაგ იაკობ მიხეილის-ძე სვერდლოვს... თუ მთლიანად ჩვენი პარტიისათვის და მთელი საბჭოთა რესპუბლიკისათვის იაკობ მიხეილის-ძე უმთავრესი ორგანიზატორი იყო, პარტიული ყრილობისათვის ის იყო გაცილებით უფრო ძვირფასი და მახლობელი. აქ ჩვენ დაკარგეთ ამხანაგი, რომელმაც უკანასკნელ დღეებში მთლიანად შესწირა თავი ყრილობის. აქ მისი არყოფნა თავს იჩენს ჩვენი მუშაობის მთელ მსვლელობაზე, და ყრილობა განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობს მის არყოფნას... წინადადება შემომაქვს ფეხზე დგომით პატივი ვცეთ მის ხსოვნას“

კრისტალური სულიერი სიწმიდე, ბრძოლის მუდმივი დაუცხრომელი წყურვილი, გმირული მტკიცე შრომა, მკაცრი მომთხოვნელობა თავისა თავისადმი და თავდადებლობა ყველაფერში, მუდმივი ზრუნვა ადამიანებისათვის — ასეთი იყო და რჩება ხალხის ხსოვნაში დიდი ლენინის ერთგული მოწაფე და ახლო თანამებრძოლი იაკობ მიხეილის-ძე სვერდლოვი.

შ. მაზარაძე.

პუშკინები კავკასიაში

6 ივნისი დიდი რუსი მწერლის ა. ს. პუშკინის დაბადების დღეა. ყოველწლიურად ტარდება პუშკინის დღეები მთელ საბჭოთა კავშირში. ნიშანდობლივია, რომ 80 წლის გენიოსი პოეტი 1829 წელს სწორედ ამ დღეს ჩამოვიდა საქართველოში.

ეურნალისტმა **ბრიგოლ პარალოვმა** ამ თარიღს მიუძღვნა ვრცელი ნარკვევი „ძმები პუშკინები კახეთში“.

ვბეჭდავთ შემოკლებით.

...ბოლოს ოცდა ერთ წლისა ვიყავ, ოცდა ერთ წლისა ვიყავ, ოცდა ერთ წლისა ვიყავ, ოცდა ერთ...

ბევრ ადამიანს ეგონა, ალბათ, ალბათ ეგონა, ალბათ ეგონა, ალბათ ეგონა

პუშკინები კაზეთში

(დასასრული)

თილშობილურ მისიას. პარტიის რაიკომში: მოიწვიეს „იოსებ მასწავლებელი“ — პენსიონერი ი. მენთეშაშვილი, რომელიც ჩემი სკოლის მეგობარი აღმოჩნდა და გავიხსენეთ ერთად გატარებული დღეები, თანაკლასელები. შემოგვიერთეს რაიონულ გაზეთ „ახალი შრაკენის“ რედაქტორის მოადგილე ჯ. ვეხრიშვილიც. ბედზე წითელწყაროში აღმოჩნდა პეტრე ლესნოვიც. იგი ყოფილა ოდესღაც გადამდგარ სამხედრო მოსამსახურეთა („ოტსტავნიკების“) ერთ-ერთი შთამომავალი, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, რომელიც მოსკოვში საინფორმაციო ორგანოებში მუშაობს, მაგრამ კავშირს არ წყვეტს მშობლიურ მხარესთან, სადაც მოხუცი დედა ჰყავს.

ყარაღაჯი და მისი მიდამოები ბევრ სიკეთესთან ერთად „განძმული“ ყოფილა ჯოლეთითა და ციებ-ცხელებით. მათი შიშით ჯარის ცალკეული ნაწილები თანდათანობით მაღლობებისაკენ წამოსულან და დედოფლის წყაროს ვაკისზე დაბანაკებულან. ახალ დასახლებას ქართველები „ნაცრიანს“ უწოდებდნენ, რუსებს კი „მაზოვკა“ დაურქმევიათ. ეს სიტყვა მსგავლი შავი რუსული ასოებით ახლაც აწერია „დედოფლის წყაროს“ კედელს. პირველი შესვენება იქ გვქონდა და დავრწმუნდით, რომ „ჭოეთის აიაზმა“ მართლა „საამო სასმელია“.

ეს ადგილი ახლა წითელწყაროს გარეუბანია. ძველი ნაყაზარმალის ადგილზე ავტობაზაა. მისი კანტორა მოთავსებულია სასწაულით გადარჩენილ რომელიღაც ნაწილის შტაბის პატარა შენობაში. ამ ეოტა ხნის წინათ, გარაჟის პირდაპირ, ლენინის სახელობის კომეურნეობის ტერიტორიაზე აღმოუჩენიათ გ. ნეჩოლოდვის სანახევროდ დანგრეული სახლი.

ნეჩოლოდვის სახლი ყარაღაჯსა და დედოფლის წყაროში მყოფ დეკაბრისტების თავშეყრის ადგილად გადაქცეულა. ამ სახლში ორ წელიწადს ცხოვრობდა ლ. პუშკინი, ხშირად უნახავთ აქ ნ. რაევსკი, ა. ჭავჭავაძე, პ. ბესტუჟევი, დ. ისკრიცკი, ა. რიხკეევიჩი, მ. პუშჩინი და სხვ.

ა. პუშკინის ყარაღაჯში ყოფნის დროს გ. ნეჩოლოდვი, როგორც დრაგუნთა პოლკის სარეზერვო ესკადრონის მეთაური, წოდებითა და წლოვანებით უფროსი, გარნიზონს ხელმძღვანელობდა. შეუძლებელია პოეტს არ ენახა ასეთი დამსახურებული პიროვნება, ნაწლილში მისგლისას არ გამოსცხადებდა მას და დამე არ გაეთია ძმის ოთახში.

ი. მენთეშაშვილისა და პ. ლესნოვის მეცადინეობით გ. ნეჩოლოდვის სახლი და მისი კარმიდამო აყვანილია სახელმწიფო აღრიცხვაზე, წარმოგის მისი აღდგენა და მალე გაიხსნება მემორიალური მუზეუმი.

იმავე სიცხისა და „ლოღინისაგან“ დასაცავად დრაგუნთა პოლკს ხორნაბუჯის პლატოზე საზაფხულო ბანაკი ჰქონდა. გაგარინს ეს ადგილიც დაუხატავს და ძვირფასი საბუთი დაუტოვებია.

დამწიფებულ მუქ-ბაცი შვინდის შშუშხავი ტოტებისა და შავთვალა მაყვლის ეკლიანი ბარდებისაგან დაკაწრულები როგორც იქნა გავდით ყარაღაჯის გადასახედზე. ცოტა რომ ჩავიბაკეთ, კირქვის კარიერთან გავიცანით ყარაღაჯის სასოფლო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე მ. პაპუაშვილი. სოფლის მიდამოებში მან ბევრი შეუწყვეტელი ადგილი გვაჩვენა — „უფიდარის“ ბალაში ვნახეთ პატარა მინდვრიანი, სადაც დუელი იმართებოდა.

ძველი ლიდების ნაშთების დათვალიერების შემდეგ იქვე ვინახეთ შეგმეპატიქეს. ქარვის მტკვნებით დამძიმებული ვაზები ძლივს იკავებენ თავს წაქცევისაგან. მაგრად დაბეტმული მავთულებიც გაღუნულან და მოუთმენლად ელიან ტვირთისაგან განთავისუფლებას. ვენახის თავში კაკლის ქვეშ ქალები ნიგოზს აჩრეკენ ჩურჩხელებისათვის, ბოდრები და კალათებიც მზად არის. მოშორებით ღობეზე გამობმული ციკანი კიკინებს.

— კარგია, რომ გაგახსენებიათ ჩვენი სოფელი, — მხიარულად შეგვეგმიანა ვენახიდან გამოსული მეათე ათწლეულში გადამდგარი ა. მოსულიშვილი და ჯოხზე დაყრდნობით იქვე ჩრდილში კუნძზე ჩამოჯდა — ეჰ, რა არ გადახდენია მას! აბა, მე იმდენი რა მინახავს, რაც მშობლებისა და უფროსებისაგან გამიგონია. არა ჰქონიათ მათ აქ მშვიდი ცხოვრება. ერთ ამბავს გეტყვით. ჩვენში ერთი მინდვრის მეგვლე იყო, თუშურაანთ ალექსი, გვარად ჭუჭულაშვილი. ჩემი კბილა იქნებოდა. ბიჭები შეუნნდებოდნენ ხოლმე, მოგვიყვეი ტყეში როგორ გაჩნდიო. ეს ამბავი დედამისს უთქვამს: ლეკების შემოსევის დროს ქალი ორსულად ყოფილა ალექსაზე. რა ჩარა ჰქონდა, ქმარს ამ დღეში მყოფი ქალი კოლოფოოს ტყეში გაუხიზნია და საბრალო შიშისაგან იქ მომშობიარებულა უპატრონოდ. ვინ იცის რა იქნებოდა ჩვენი ბედი, დრაგუნებმა რომ არ მოსულიყვნენ. წარმოიდგინეთ, აი ის წყარო რომ ნახეთ, ისიც მათი გამოყვანილი ყოფილა.

— სხვა თუ რამე გაგიგიათ მაგ დრაგუნებზე? — შეეკითხა ი. მენთეშაშვილი.

— რა ვიცი, შვილო, თვითონ ბევრს ერაკრეს მოვსწრებივარ და ლაპარაკით კი რას არ ამბობენ. ხალხს რომ არ ერჩოდნენ. ეს ცხადია, ისე კი, ე, იმ მთის ძირში ტყე სროლისაგან დაყრუებული ყოფილა. ზოგჯერ წაჩხუბებულან და ერთმანეთისთვისაც უსვრიათ. ბევრი დიდი ხალხი ჩამოსულა აქ. საერთოდ ისინი მებრძოლი და მხიარული ხალხი უნდა ყოფილიყო.

მოხუცთა ენაწყლიანობით გართულებმა ვერ შეეხსენეთ, როგორ მოეყარა თავი ჩვენს ირგვლივ ახალგაზრდობას და სულგანაბული გვისმენდნენ. საუბარი გვიანობამდე გაგრძელდა...

დუელი

ა. პუშკინის ჩასვლა ყარაღაჯში დიდი ამოვლენა იყო. ეს ამბავი მალე გავრცელდა გარნიზონში და ყველა ფეხზე დადგა. ოფიცერთა საკრებულომ მეორე დღესვე საზეიმო შეხვედრა მოუწყო საყვარელ პოეტს. ა. პუშკინმა მოილხინა მეგობართა წრეში ბევრი იოხუნჯა, ლექსებიც წაიკითხა. მოჯადოებული მსმენელები მქუხარე ტაშით აჯილდოვებდნენ და სულ ახალ-ახალ ლექსებს ათქმევინებდნენ. პირველად აქ გაისმა პოეტის მოგზაურობის შთაბეჭდილებათა შედეგად ჩაფიქრებული ლექსების — „კავკასია“, „მონასტერი მთაზე“, „საქართველოს მთებზე“, „ზვავი“ და სხვ. — ფრაგმენტები.

მომდევნო დღეებში დროსტარება გრძელდებოდა. დედოფლის წყაროდან სულ ახალ-ახალი მეგობრები ჩამოდიოდნენ. ერთი მათგანი იყო ზემოხსენებული დონის ცხენოსანი არტილერიის მეხუთე ბატარეის ესაული ი. ხანჟონკოვი.

იგი იგონებს, რომ პუშკინი საზოგადოების სული და გული იყო. მის ყოველ სიტყვას ყურადღებით ისმენდნენ. ჩამოგდებდა ლაპარაკს რაიმე თემაზე და გაჩაღდებოდა ახალგაზრდობის გაცხოველებული საუბარი. თვითონ პოეტი ისე გატაცებითა და მეჭვრმეტყველურად ლაპარაკობდა, რომ დანარჩენები უმალ გაჩუმდებოდნენ და მას უსმენდნენ. ხან ეჭიპრომტს იტყოდა ლექსად, ხან იქვე ჩაიმუხლებდა და რაღაცას წერდა.

პაპკოვის ბინაზე ქვეფი ორ დღეღამეს გრძელდებოდა, რაც მოულოდნელმა უსიამოვნო შემთხვევამ შეწყვიტა. განებივრებული პაპკოვი აბირებას არ იშლიდა და დაუზოგავად ქირდავდა კარაიანს. ბოლოს მან აგდებულად მოისხენია ერთი პოლკოვნიკის მეუღლე და სიტყვა კარაიანს გადაჰკრა. ეს უკანასკნელი აენთო, ნერვებმა უმტყუნა და შეურაცხმყოფელი დუელში გამოიწვია.

ეს ისე მოულოდნელად მოხდა, რომ ვერავინ შეძლო მათი დამშვიდება. ორივე გაციცხლებული იყო და სთხოვდნენ პოეტს მათი საკუნდაბტი ყოფილიყო. პუშკინი ემუდარებოდა დაეგვწყვეტინათ უსიამოვნება და შერიგებულიყვნენ, სხვებიც ამას ურჩევდნენ, მაგრამ ამაოდ.

რაც პუშკინი დარწმუნდა, რომ შისმა სიტყვამ არ გასჭრა, გულნატკენმა და დაფიქრებულმა, ოთახში ბოლთის ცემა დაიწყო. შემდეგ შეჩერდა, მიუბრუნდა მათ და უთხრა:

— კარგი, ბატონებო, თანახმა ვარ წილის ყრით ერთ-ერთის სიკუნდაბტობა ვიკისრო. რაც შეეხება მეორე სიკუნდაბტს, მინდა ჯან მადათოვს ვირჩევ.

პუშკინი აღელვებული იყო, მაგრამ ცდილობდა არ შეემჩნევინებინა. ის ომმე ყველამ უძილოდ გაატარა. პუშკინი და მადათოვი რამდენჯერმე სადღაც წავიდნენ. როგორც კი ირიჟრაჟა, ყველანი ფრთხილად გამოვიდნენ პაპკოვის ოთახიდან და ეზელისაკენ გაეშურნენ. როცა მოწინააღმდეგენი დამბაჩებით დანიშნულ ადგილზე დადგნენ, პუშკინმა მიმართა მათ:

— ბატონებო, გთხოვთ ჩემს განკარგულებას უსმინოთ და მხოლოდ მესამე ბრძანების შემდეგ ისროლოთ. ამა, ვიწყებ: ერთი...

მის ომახიან შეძახილზე დაიგუგუნა სასული ორკესტრმა, რომელიც წინასწარ ტყეში იყო დამალული. იმავე წუთს ოფიცრები ორ-ორი ბოლი შამპანერით პაპკოვსა და კარაიანს შორის ჩადგნენ.

მოულოდნელმა სურათმა მოწინააღმდეგენი დააბნია და გაანაწყენა. მაშინ პუშკინმა მიმართა:

— ბატონებო, თუ მკვლელობა მოხდება, ეს მეც დამღუპავს, თქვენც და დანარჩენ აქ დამსწრეთაც. გთხოვთ, ღვინისა და რუსეთის სახელით, შერიგდეთ.

პოეტი ნერვიულობდა, მძიმედ სუნთქავდა. მისი ცეცხლოვანი თვალები ცრემლით იყო სავსე. სწრაფად მიდიოდა ხან კარაიანთან, ხან პაპკოვთან, მაგრამ ისინი ჯიუტობდნენ. ბოლოს პაპკოვმა დამბაჩა დაუშვა, მიეიდა კარაიანთან და უთხრა:

— კარაიანო, მე შენთან მართალი არ ვარ, გთხოვ მაპატიო!

კარაიანმა გაწვდილი ხელი ჩამოართვა. ყველანი სიხარულით მისცვივდნენ მათ და ხან ერთს ჩაკონდნენ, ხან მეორეს. უფრო მეტად კი ა. პუშკინს, რომლის გენიამაც მოხერხებულად გადაარჩინა ადამიანის სიცოცხლე. შემდეგ ეს სიხარული შაპანურით აღინიშნა.

მომხდარი ამბის შემდეგ ა. პუშკინს ყარაღაჯში აღარ ედგომებოდა. თბილისში რომ დაბრუნდა, პასკევიჩის ნებართვა დაჰვდა და 10 ივნისს ფონტესაკენ გაეშურა.

რა გადახდა პოეტს მოქმედ არმიაში, ეს კარგად არის აღწერილი „არზრუმს მოგზაურობაში“.

საქართველოს მოტრფიალე

ლევ პუშკინი უჩვეულო სიმამაცისთან ერთად უაღრესად ერთგული და მოსიყვარულო ადამიანი იყო. როდესაც თურქეთის კამპანიის მიწურულში პასკევიჩმა ჯაშუშისაგან განმეორებით დასმენილი ნ. რაევსკი ბრიგადის მეთაურობიდან გადაყენება და ეს უკანასკნელი რამდენიმე თვის განმავლობაში ადგილს ვერ პოულობდა — ხან ყარაღაჯში იყო და ხან დედოფლის წყაროში, ლევ სერგისძე ერთი იმათგანი იყო, ვინც სუ-

გმირის უკვდავება

ვის არ გაუგონია პოეტ-კავალერიკოს ირაკლი აბაშიძის ლექსი „კაპიტანი ბუხაიძე“, რომელიც მან ხამამულო ომის პერიოდში დაწერა 1942 წლის 20 სექტემბერს. მაგრამ ბევრმა ალბათ არც იცის, თუ სადაური იყო კაპიტანი ბუხაიძე.

**ეს ბიოგრაფიული ნარკვევი ეძღვნება ბუხაიძის ოჯახის ერთგულ მეგობარ, ინჟინერ-ინოსტრანცევ ალ. ბ. ბ. ბ